

# „პრეზიდენტის კურსი ბენდუქიძის იდეებს სრულად შეესაბამება“

„როდესაც მთავრობა ქვეყანას აჰკიდებს მორიგ ტვირთს,  
მკაფიოდ უნდა აყალიბებდეს რატომ და რისთვის“

გაზეთი “ბანკები და ფინანსები” – 27 მაისი – 2 ივნისი, № 155, 2008

ინტერვიუ ეკონომიკის ექსპერტ ლადო პაპავასთან

– ბატონო ლადო, გადრმაველება თუ არა ინფლაცია არჩევნების შემდგომ პერიოდში?

– დიდი მარჩიელობა არ არის საჭირო. რამდენიმე კვირის წინ თვით პრემიერმა განაცხადა იმის შესახებ, რომ ინფლაციური პროცესები ქვეყანაში გადრმაველება და ეს არ შემოიფარგლება მარტო საარჩევნო პერიოდით, თუმცა, პრემიერ-მინისტრმა აქცენტი გააკეთა საერთაშორისო ფაქტორებზე, როგორცაა ენერგორესურსებზე მსოფლიო ფასების ზრდა, რაც უშუალო ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. მას, სამწუხაროდ, არ უსაუბრია ქვეყნის ეკონომიკასა და შიდა პრობლემებზე, რაც ასევე ხელს უწყობს ინფლაციის ზრდას. გარდა ამისა, ის დაპირებები, რომლებიც გაცემული იქნა წინასაარჩევნო პერიოდში და რომელიც ფინანსური პაკეტის გარკვეული ნაწილია, ხელს უწყობს ინფლაციის ზრდას. მიმოქცევაში გაშვებული ფული, ეს არ ნიშნავს, რომ მყისიერად, ხვალვე იქნება ინფლაციური ეფექტი. დაგროვილი ინფლაციური მუხტის კუმულაციური ეფექტი საკმაოდ მნიშვნელოვანია და ეს პროცესი გაგრძელდება.

– ინფლაციის გამომწვევ საქონელთა ჩამონათვალში, სტატისტიკის დეპარტამენტს შეტანილი ჰქონდა, როგორც ზრდის ერთნაირი ფაქტორები, გაზის ტარიფი და ატამი, თქვენ გაზეთ „მთელ კვირაში“ ამას ხალისიანი კალამბურით უპასუხეთ, დღეს რა ვითარებაა, ინფლაციას და ფასებს რა ფაქტორები განსაზღვრავს?

– თქვენ კარგი კურიოზი გაიხსენეთ, მაგრამ, ამას მოდით, სტატისტიკის დეპარტამენტს ნუ დავაბრალებთ, სტატისტიკის დეპარტამენტს დააბრალა

ფინანსთა მინისტრმა. სინამდვილეში ეს 2008 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მონაცემებიდან იყო აღებული. ეს ტექსტი წარმოადგინა ფინანსთა მინისტრმა, რომელიც პრემიერ-მინისტრის მიერ იყო ხელმოწერილი. მათთვის ძალიან ადვილია ჯოხი სტატისტიკის დეპარტამენტზე გადატყდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს მეათეხარისხოვანია. მართლაც, ძალიან სასაცილოა, რომ, თურმე, ქვეყანა დაუნგრევია ატამს.

დღევანდელ მდგომარეობას თუ შევხედავთ, სტატისტიკის დეპარტამენტმა ტრადიციულად გამოაქვეყნა წლიური ინფლაციის მაჩვენებელი მარტის მდგომარეობით, ანუ წლევანდელი წლის მარტის მონაცემი გასული წლის მარტთან შედარებით. ამ წლის მონაცემით, ინფლაცია 12%-ზე მეტია. თუ გავითვალისწინებთ იმ მანკიერ ტრადიციას, როცა მთავრობა ხელოვნურად აიძულებს სტატისტიკის დეპარტამენტს შეამციროს ინფლაციის რეალური მაჩვენებელი და ოფიციალური მონაცემი 1/3-ით მაინცაა შემცირებული, შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ მიმდინარე წლის მარტისთვის ინფლაციის მაჩვენებელი, გასული წლის მარტთან შედარებით, სულაც არ არის 18%-ზე ნაკლები, შეიძლება მეტიც იყოს. ვფიქრობ, მთავრობას ეყოფა იმდენი გონიერება, რომ ატამზე და პომიდორზე აქცენტირება აღარ გააკეთოს და უფრო სერიოზულად იმსჯელოს ინფლაციის საკითხებზე.

– საქართველოს მთავრობამ 500 მილიონი ამერიკული დოლარის ევროობლიგაცია განათავსა. თქვენ ჰკითხეთ პრემიერ-მინისტრს, თუ ჩვენი ეკონომიკა აღმავლობის გზაზეა, რაში გვჭირდება 500 მილიონი სესხი, ადრე გილაურმა თქვა, რომ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების ასაშენებლად იყო საჭირო, რათა თურქეთისთვის დენი მიეყიდათ. თუმცა, შემდგომ, ამ ფულის ჩადება „მომავალი თაობების ფონდსა“ და „სტაბილური განვითარების ფონდში“ გადაწყდა. თქვენი აზრით, რეალურად რისთვის სჭირდება მთავრობას ეს ფული?

– ნამდვილად არ ვიცი რაში დასჭირდა მთავრობას ეს ფული. თქვენ სწორად ბრძანეთ ამ საკითხის ისტორია. ეს ყველაფერი ამ წლის განმავლობაში მოხდა. იანვარში ითქვა ენერგეტიკა, მერე ითქვა მომავალი თაობებისა და სტაბილური განვითარების ფონდები, მერე ისევ ენერგეტიკა, ახლა ითქვა, რომ მხოლოდ ნახევარი, 250 მლნ. მიდის ამ ფონდებში, ხოლო 250 მლნ-ზე გადაწყვეტილება არ მიუღიათ. ეს ჩემთვის, ცოტა არ იყოს, კურიოზია. როგორ შეიძლება მთავრობამ აიღოს სესხი, თან თვლიდეს, რომ ქვეყანაში წარმატებებია და ბიუჯეტი იზრდება. ამ დროს ქვეყანა იღებს სესხს

5 წლით 7,5%-ით. ვაღდებულია თუ არა მთავრობა, რომ თქვას, რისთვის აიღო სესხი? ვაღდებულია! იცით რატომ? იმიტომ, რომ ეს სესხი ჩვენი დასაბრუნებელია, ჩვენი, გადასახადის გადამხდელების, რომლებიც ბიუჯეტს ვუხდით ფულს. 5 წლის მერე ეს 500 მლნ. დასაბრუნებელია და თანაც 7,5%-ის გათვალისწინებით. მთავრობამ აშკარად იცის, რაში სჭირდება ეს ფული, ან მართლაც არ იცის და გულწრფელია, მაგრამ ვერც ერთი ვერ აიცილებს იმ პასუხისმგებლობას, რაც აქვს, იმიტომ, რომ მთავრობა, როდესაც ქვეყანას აჰკიდებს მორიგ ტვირთს, მკაფიოდ უნდა აყალიბებდეს იმას, რატომ, რისთვის, რათა ჩვენ გვეჯეროდეს ასეთი მთავრობის და ვიცოდეთ, რომ თუ ქვეყანას საგარეო ვალი 500 მლნ-ით გაეზარდა, ეს თურმე, მართლაც საჭირო ყოფილა ქვეყნისთვის. დღეს ჩვენ ეს არ ვიცით, იმიტომ, რომ მთავრობა ამაზე პასუხს ვერ იძლევა.

**– რატომ არ არის გაწერილი ამ ვალის ოდენობა, საპროცენტო განაკვეთები, ვადები და სხვა ნიუანსები 2008 წლის ბიუჯეტში?**

– 2008 წლის მარტში ბიუჯეტში შევიდა ცვლილებები. იქ ეს ვალი 800 მლნ. ლარის ოდენობით დაფიქსირდა. მაგრამ, რადგან ობლიგაციების გამოშვება ქართულ ეკონომიკურ სინამდვილეში ახალი ფენომენია, მისი საკანონმდებლო განხილვა საჭირო გახდა. შეტანილი იქნა ცვლილება „სახელმწიფო ვალის შესახებ კანონში“. ამ ცვლილებით გაჩნდა ვეროვლობიგაციის ცნება და ის პროცედურები, რომელიც მასთან არის დაკავშირებული. კანონით განისაზღვრა, რომ ბიუჯეტში უნდა ფიქსირდებოდეს ყველა პარამეტრი, მათ შორის, რაოდენობა, საპროცენტო განაკვეთი და ვადები. ასე, რომ ვეროვლობიგაციები პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს ბიუჯეტთან ერთად, როგორც ბიუჯეტის ნაწილი. მაგრამ, სამწუხაროდ, 2008 წლის საფინანსო წელთან დაკავშირებით, სახელმწიფო ვალის შესახებ კანონში ჩაიწერა, რომ მოთხოვნა ვეროვლობიგაციების პარამეტრების ბიუჯეტში ასახვის შესახებ არ ვრცელდება 2008 წელზე, ამიტომ ბიუჯეტში მხოლოდ ვალის მთლიანად ოდენობაა ასახული, მაგრამ საგარეო ვალის სხვა ასპექტები ბიუჯეტში შესული არ არის. ამ შემთხვევაში, მოხდა ისე, რომ კანონი მოარგეს კონკრეტულ სიტუაციას და მერე რა მოხდება ამაზე არავინ ფიქრობს. ეს არის ცუდი, რომ მთავრობა სპეციალურად თავის თავზე ირგებს კანონებს.

**– ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას ეტაპობრივად ამკაცრებს. იგი საკუთარ ფასიან ქაღალდებს ყოველწლიურად აძვირებს. 2008 წლის**

აპრილში ეროვნულმა ბანკმა ერთკვირიან სადემოზიტო სერთიფიკატებზე 11 პროცენტისანი საპროცენტო განაკვეთი 12 პროცენტამდე გაზარდა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეროვნული ბანკი ერთი ხელით ინფლაციას ებრძვის, მეორე ხელით კი კრედიტებს აძვირებს. ამ შემთხვევაში აბსოლუტურად სწორად იქცევა იგი თუ მხოლოდ ფორმალური ნაბიჯების გადადგმით კმაყოფილდება?

– დღეს ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემა მძიმე მდგომარეობაშია და კონკრეტულად ეროვნული ბანკი. ქვეყანაში დიდი ოდენობით შემოდის უცხოური ვალუტა, რომელიც იცვლება ლარზე, შესაბამისად, ლარზე მოთხოვნა იზრდება და თუ ამ პროცესში ეროვნული ბანკი არ ჩაერევა, ლარი ისე გამყარდება, რომ ქვეყნის ეკონომიკისთვის კატასტროფულ შედეგებს მოიტანს. ეროვნული ვალუტის გამყარება ზღუდავს ექსპორტს და შესაბამისად, ადგილობრივ წარმოებას. აქედან გამომდინარე, ეროვნული ბანკი ერევა ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების პროცესში, ყიდულობს უცხოურ ვალუტას, რითაც ზრდის თავის რეზერვებს და ხელს უშლის ლარის მყისიერ გამყარებას. ამ პროცესში მიმოქცევაში იზრდება ლარის მასა, რაც იწვევს ინფლაციას. ინფლაციის მოსათოკად ეროვნული ბანკი იძულებულია, გამოიყენოს მის ხელთ არსებული ინსტრუმენტები, ფასიანი ქაღალდების გაყიდვითა და საპროცენტო განაკვეთების გაზრდით ამცირებს ფულის მასას მიმოქცევაში. ჩემი აზრით, ეროვნული ბანკის ეს ქმედება, საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის მდგომარეობიდან გამომდინარე, არის იძულებითი და ეს სტრუქტურა საკმაოდ სწორად და კორექტულად იქცევა.

– თქვენ ბრძანეთ, რომ ვარდების რევილუციის შემდეგ საქართველოს ეკონომიკას ჰოლანდიური დაავადება დაემართა. იქნება მკითხველს შეახსენოთ, რაში მდგომარეობდა ამ დაავადების არსი და როგორ არის ის დღეს გამოხატული ჩვენთან?

– ჰოლანდიური დაავადების ცნება ეკონომიკაში გაჩნდა კონკრეტული მოვლენის შემდეგ. გასული საუკუნის 60-იან წლებში ჰოლანდიას ჩრდილოეთის ზღვაზე აღმოაჩნდა დიდი ოდენობით გაზი, რომელიც ჰოლანდიამ ექსპორტზე გაიტანა. ამას მოჰყვა ქვეყანაში დიდი რაოდენობის უცხოური ვალუტის შესვლა, რის შემდეგაც ჰოლანდიურმა გუბერნიამ დაიწყო გამყარება. ეროვნული ვალუტის გამყარება ნიშნავს ექსპორტის შემცირებას. ასე მოხდა ჰოლანდიაშიც, გაზის გარდა სხვა საექპორტო მიმართულებები შეიზღუდა. ამ ფენომენს ეწოდა „ჰოლანდიური დაავადება“. ამ შემთხვევაში,

მნიშვნელობა არ აქვს რისი ექსპორტი ხდება, მაგალითად, ბრაზილიაში ამ დაავადების მიზეზი გახდა ყავის ექსპორტი, ეგვიპტეში ტურიზმი.

საქართველოში ამ დაავადების გამომწვევი რამდენიმე ფაქტორი გახდა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განხორციელებული ანტიკორუფციული ღონისძიებების შედეგად კორუმპირებულ ჩინოვნიკებსა და გადასახადის გადამხდელებს დოლარში გამოხატული თანხის სახელმწიფოსთვის გადაცემა მოუხდათ. ვინაიდან საქართველოში ოფიციალური საგადამხდელო საშუალება ლარია, მასზე გაიზარდა მოთხოვნა. ჩვენი მოქალაქეები, რომლებიც საზღვარგარეთ მუშაობენ, თავიანთ დანაზოგს საქართველოში აგზავნიან დოლარში, ვინაიდან ამ ფულს არავინ ინახავს და პირდაპირ სამომხმარებლო ბაზარზე გადის, მოთხოვნა ლარზე კიდევ უფრო გაიზარდა. ამას ემატება საქართველოში განხორციელებული უცხოური ინვესტიციები. ინვესტორები ვალდებულნი არიან თავიანთი ფულადი აქტივები ლარზე გადაცვალონ. ყველაფერი ეს ზრდის მოთხოვნას ლარზე და ლარი მყარდება. სწორედ ასე აღმოჩნდა ქვეყანა ჰოლანდიური დაავადებით დაავადებული.

ამ დაავადების წინააღმდეგ არსებობს ბრძოლის წარმატებული მეთოდები. ამ შემთხვევაში ეროვნული ბანკის პოლიტიკა აბსოლიტურად სწორია. ეს არის უბრალოდ კლასიკა. თუმცა, მხოლოდ ეროვნული ბანკი ვერაფერს გახდება. მთავრობამაც შესაბამისი პოლიტიკა უნდა გაატაროს. პირველ რიგში, ბიუჯეტი უნდა იყოს რეალურად პროფიციტული და არა ფსევდო პროფიციტული, ანუ მხოლოდ ქალაქებზე დაწერილი. შემოსავლები რეალურად უნდა აღემატებოდეს ხარჯებს და სწორედ პროფიციტის თანხების აკუმულირება უნდა ხდებოდეს „სტაბილიზაციის ფონდში“ და არა სესხად აღებული ფულის.

– ფაქტობრივად მიმდინარეობს დოლართან მიმართებაში ლარის კურსის მკვეთრი გამყარება. ქართველი ექსპერტები ამას ექსპორტისთვის სახიფათოდ მიიჩნევენ, რა ხდება, როდემდე გაგრძელდება ეს პროცესი, რეალურია თუ არა, რომ წლის ბოლომდე ერთი დოლარი ერთ ლარს გაუტოლდეს? თან იქნებ ისიც ახსნათ ევროსთან მიმართებაში, რატომ არის ლარის კურსის მოძრაობა არაადეკვატური?

– ეკონომიკას თავისი კანონზომიერებები აქვს. ჩვენთან ყველაზე დიდი ოდენობით დოლარი შემოდის, ბუნებრივია, ლარი დოლართან მიმართებაში მყარდება. გარდა ამისა, დოლარი უფასურდება მთელს მსოფლიოში. ეს ამერიკის ეკონომიკის პრობლემაა. ამას თან ერთვის ის, რომ საქართველოს

ეკონომიკა დამძიმებულია ჰოლანდიური დაავადებით. შექმნილი მდგომარეობა ობიექტური ფაქტორებითაა განპირობებული. ასე ჩამოყალიბდა ჩვენი ეკონომიკა, რომლის ორიენტირების შეცვლას გარკვეული დრო სჭირდება.

რაც შეეხება კურსს, ეს ძალიან საინტერესო საკითხია. საქმე ისაა, რომ 2008 წლის ბიუჯეტში ექსპორტ-იმპორტის პარამეტრების გათვლისას ფინანსთა სამინისტროს კურსი აქვს ჩადებული - 1 დოლარი - 1 ლარი და 57 თეთრი. მთავრობას ორიენტაცია აქვს ასეთ კურსზე აღებული, რაც, მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით, ნამდვილად ვერ იქნება; ეს კი მთავრობის კომპეტენტურობის დაბალ დონეზე მეტყველებს. რაც შეეხება პროგნოზს, ჩემი აზრით, ლარის გამყარების ტენდენცია გაგრძელდება. თუ 1 ლარი გაუტოლდება 1 დოლარს, საქართველოს ექსპორტი შეჩერდება, რაც იქნება საქართველოს ეკონომიკის სრული კრახი.

**- თუ არ ვცდები, 2005 წელს, შეიქმნა ეკონომიკური საბჭო, რა იყო მისი მიზანი და რატომ არ შეკრებილა ის ბოლო სამი წელია?**

- ასეთი ეკონომიკური საბჭო პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა. საბჭო, რომელშიც შედიან ცნობილი ეკონომისტები, პრეზიდენტის საკონსულტაციო ორგანოა და იგი დღესაც ფუნქციონირებს. მსგავსი საბჭო შევარდნაძის დროსაც არსებობდა, თუმცა, 2000 წელს, როცა იგი ხელმეორედ აირჩიეს პრეზიდენტად, მან ეკონომიკური საბჭოს მუშაობა პრაქტიკულად შეაჩერა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მე შევთავაზე მიხეილ სააკაშვილს ასეთი ორგანოს აღდგენა. პრეზიდენტი ერთუხიაზმით შეხვდა ამას. 2005 წელს შეიქმნა ასეთი საბჭო, რომელიც უნდა შეკრებილიყო თვეში ორჯერ. რეალურად, სხდომა შედგა მხოლოდ ერთხელ და მიუხედავად იმისა, რომ საბჭო ქაღალდზე დღესაც არსებობს, იგი პრაქტიკულად აღარ ფუნქციონირებს.

საბჭოს ფუნქციონირების შეწყვეტის მთავარი მიზეზი, ჩემი აზრით, არის ქვეყნის ეკონომიკური კურსი, რომელიც დაკავშირებულია ბენდუქიძის სახელთან. ბატონ ბენდუქიძეს აქვს სრული კარტბლანში, როგორც მთავრობაში, ასევე პარლამენტისა და პრეზიდენტისგანაც აკეთოს ის, რაც მას უნდა. მე არ ვიცნობ საქართველოში არც ერთ ეკონომისტს, რომელიც პრეზიდენტს ეტყვის, რომ რაც ხდება, ის სწორია. ასე რომ, პრეზიდენტმა აირჩია კურსი, რომელიც კახა ბენდუქიძის იდეებს შეესაბამება, შესაბამისად, მას უკვე სამი წელია აღარ სჭირდება სხვა ეკონომისტების განსხვავებული აზრი.

– ჩვენი ორიენტირი გახლავთ ევროკავშირი, გაზეთი „ბანკები და ფინანსები“ არაერთხელ მიუთითებდა, რომ მივდივართ და მივისწრაფვით ევროკავშირისკენ, მაგრამ სანიმუშო ქვეყნებად ვასახელებთ სინგაპურს, ჰონგკონგს, ბახრეინს და არა იტალიას, ესპანეთს, საბერძნეთს. თქვენ როგორ ახსნიდით ამ პარადოქსს?

– ეს შეკითხვა მეც მაწუხებს. ვიცი, რომ სინგაპური პრეზიდენტის საყვარელი ქვეყანაა, პრემიერ-მინისტრს კი ბახრეინი ხიბლავს, თუმცა, ეს ქვეყნები არ არიან ევროკავშირის ქვეყნები, აქვთ სრულიად განსხვავებული ეკონომიკური მოდელი და რაც მთავარია, ამ ქვეყნებში სულ სხვა მენტალობაა. ამ დროს კი ვიძახით, რომ ჩვენი ორიენტირი ევროპაა. მე ნამდვილად არ მაქვს პასუხი ამ კითხვაზე.

ასეთივე სიტუაციაა ჩვენი ცხოვრების ბევრ სფეროში. მაგალითად, საქართველოს შრომის კოდექსი, შეიძლება ითქვას, არის დრაკონული. იგი მხოლოდ დამსაქმებლის ინტერესებს შეესაბამება, რაც ევროკავშირისთვის პრინციპულად მიუღებელია. ამას ამართლებენ იმით, რომ ვქმნით ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს – ინვესტიციებს მოვიზიდავთ, განვაავითარებთ ქვეყნის ეკონომიკას და როცა ევროკავშირში შევალთ, აი, მაშინ შევცვლით შრომის კოდექსს – ასე ამართლებენ ამ კოდექსს. ლოგიკა თითქოს სწორია, მაგრამ ქვეყნის მოსახლეობის ხარჯზე ექსპერიმენტების ჩატარება საქმისადმი არასწორი დამოკიდებულებაა.

**ესაუბრა ზურაბ კუკულაძე**